სსრ კავშირის ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის XI ტურის მატჩში 26 მაისს ლანჩხუთში ერთმანეთს შეხვდნენ საქართველოს გუნდები - ადგილობრივი „გურია“ და თბილისის „დინამო“.

ჩვენი ლანჩხუთელი კორესპონდენტი ავთანდილ ორმოცაძე ამ მატჩის თაობაზე გვატყობინებს:

თბილისის „დინამოს“ ჩამოსვლამ ლანჩხუთში დიდი ინტერესი გამოიწვია. „გურიის“ სტადიონი სავსე იყო მაყურებლით. ისინი მოელოდნენ შეუპოვარ ბრძოლას, ვინაიდან ქულები ჰაერივით ესაჭიროებათ გათამაშების ცხრილის ბოლოში მყოფ ლანჩხუთის „გურიასაც“ და თბილისის „დინამოსაც“. ბრძოლა, მართლაც დაძაბული იყო, თუმცა , უნდა ითქვას, მეტოქეებმა შეუპოვრობა და ბრძოლისუნარიანობა უფრო მეტი გამოავლინეს, ვიდრე მაღალი სპორტული ოსტატობა.

პირველი ტაიმის განმავლობაში ლანჩხუთელებს მცირეოდენი ტერიტორიული უპირატესობა ჰქონდათ, ვიდრე სტუმრებს, მაგრამ დინამოელებიც სახიფათოდ უტევდნენ.

მეტოქეები კარგად იცნობდნენ ერთმანეთს. ბევრ მათგანს სხვადასხვა დროს ერთადაც უთამაშია, ამიტომ, ტრადიციული დაზვერვის ნაცვლად ისინი თავიდანვე ჩაებნენ ძნელ ბრძოლაში. მე-16 წუთზე ლანჩხუთელმა აკოფიანმა უაღრესად ხელსაყრელი მდგომარეობიდან ვერ შეძლო ბურთის გატანა. მცირე ხანში კი დინამოელთ ნახევარმცველმა კორღალიძემ ასევე დაკარგა ბურთის გატანის საუკეთესო შესაძლებლობა. ამის შემდეგ კვლავ კარგი მდგომარეობიდან ააცილა მიზანს ბურთი მეგრელაძემ.

შესვენების შემდეგ თამაშის ტემპმა მნიშვნელოვნად იკლო. ფეხბურთელები ნაკლებ აქტიურობას იჩენდნენ და ერთფეროვნად თამაშობდნენ. თუმცა, სახიფათო მომენტები მაინც იქმნებოდა. ორჯერ ვერ გამოიყენა ბურთის გატანის კარგი შესაძლებლობა მეგრელაძემ, შემდეგ კი ჭედიამ, გურულმა და შენგელიამ.

საბოლოოდ, წარმატებას ვერც ერთმა მხარემ ვერ მიაღწია - 0:0.

მეტოქეთა შემადგენლობანი: „გურია“ - იმნაძე, მიქაბერიძე, მახარაძე, ე. თევზაძე, არზიანი, ხლუსი, კოპალეიშვილი, ტყებუჩავა, მეგრელაძე, ფრიდონაშვილი, აკოფიანი; „დინამო“ - გაბელია, კეტაშვილი, ჩივაძე, ჭედია, კუდინოვი, რევიშვილი (შენგელია, 80), კორღალიძე, სულაქველიძე, ცაავა (კაკილაშვილი, 68), გურული, ცვეიბა.

მსაჯი პ. კობიჩიკი (ჩერნოვცი).